

ურთიერთობა, ურთიერთობა, ურთიერთობა



გონებისა და სიცოცხლისუნარიანობის კვლევა ავლენს, რომ მტკიცე და მზრუნველი ურთიერთობები ბავშვს ყველაზე კარგად იცავს რისკებისაგან, მათ შორის, პრობლემური ქცევის ჩამოყალიბების რისკისაგან. ასეთი ურთიერთობის დამყარების პირველი მცდელობა, მაგრამ არა ექსკლუზიური უფლება, ოჯახებს აქვთ. რადგან მასწავლებლებიც დიდ დროს ატარებენ ბავშვთან, ბუნებრივია, მათაც შეუძლიათ მყარი, დადებითი ურთიერთობის ჩამოყალიბება და ამგვარად სტიმულს აძლევენ ბავშვის ფიზიკური და სულიერი ძალების სწრაფად აღდგენის უნარს. მასწავლებლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ოჯახური ურთიერთობები არამყარია. როგორც კაროლ ჰოუსი და შერონ რიჩი აცხადებენ ნაშრომში „ნდობის საკითხი“ (2002), „მასწავლებლებთან ბავშვების ადრეული ურთიერთობის ჩამოყალიბების ხარისხი თავიანთ თანატოლებთან მომავალი სოციალური ურთიერთობების, ქცევითი პრობლემების, სკოლაში სწავლით კმაყოფილებისა და მიღწევების მაჩვენებელია“ (გვ. 6).

მზრუნველი კავშირი

ბავშვთან თქვენი კავშირი ყველაზე ძლიერი იარაღია, რაც შეიძლება თქვენ, როგორც მასწავლებელს, გქონდეთ. უფროსებთან უსაფრთხო მზრუნველ ურთიერთობებში ბავშვი, გარემოს შესასწავლად, საიმედო საყრდენს პოულობს. სწავლობს საკუთარი თავის შეფასებასა და ემატება პიროვნული ძალის რწმენას. ხვდება, რომ შეუძლია გავლენა მოახდინოს გარშემო მყოფ ადამიანებზე და რომ ისინი საჭიროებების დაკმაყოფილებაში დაეხმარებიან. გულისხმიერი და მზრუნველი უფროსი ბავშვისთვის მოდელი ხდება და მას შეუძლია, უფროსისაგან ისწავლოს თავისი გრძნობებისა და ქცევის გაგება, რეგულირება, სხვა ადამიანებზე ზრუნვა, საგნების მათი თვალთახედვით დანახვა და მათი გრძნობების გაგება (Shonkoff & Phillips, 2000).

როცა ბავშვის პრობლემური ქცევა იჩენს თავს, შეიძლება ეს ძირითადი ურთიერთობებიც შესუსტდეს. ბავშვის ქცევა გაფერხებთ, ხელს გიშლით ბავშვის შესახებ თქვენი შეხედულებების ჩამოყალიბებაში, რაც ართულებს ბავშვის მოწონებას

და მასთან ურთიერთობის დამყარებას (Birch&Ladd, 1998). ეს კავშირი აუცილებელი ხდება, რადგან ურთიერთობა წარმატების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია. როცა თქვენ და ბავშვი ერთმანეთზე ზრუნავთ, მას სურვილი უჩნდება, ისწავლოს თქვენგან და მოგბადმოთ, შედეგად, თქვენ უფრო მეტად უგებთ მას, მეტ მოთმინებასა და სიმტკიცეს იჩენთ. ყველაფერი ეს ძლიერ ზრდის თქვენს შესაძლებლობას, დაეხმაროთ ბავშვს, ისწავლოს შესაფერისი ქცევა.

ამ თავში აღწერილია ურთიერთობის ჩამოყალიბების ოთხი ასპექტი: საკუთარი თავის გაგება, ბავშვის გაგება, ბავშვთან ურთიერთობის დამყარება და ბავშვის ოჯახთან ურთიერთობის დამყარება.

საკუთარი თავის შეცნობა

როგორ აყალიბებთ ურთიერთობებს რთული ქცევის ბავშვთან? როგორ უნდა მიიღოთ ის, როგორც არის და იზრუნოთ მასზე იმის მიუხედავად, თუ როგორ იქცევა?

ურთიერთობისათვის ორი ადამიანია საჭირო და თქვენი, როგორც მოზრდილის, პასუხისმგებლობაა მზრუნველი ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება. თქვენ უფრო მოწიფული ხართ და შეგიძლიათ სიტუაციის შეფასება და სწავლის სტილის მორგება ჯგუფში თითოეული ბავშვისათვის, რათა თავიანთი ფუნქცია შეასრულონ და კომფორტულად იგრძნონ თავი.

ურთიერთობის დამყარებაში ბავშვის კარგად გაცნობა ნამდვილად ხელს შეგიწყობთ, მაგრამ დასაწყისისათვის უნდა გაიგოთ, თვითონ საიდან მოდიხართ. ამის მიზეზი მარტივია: რა ურთიერთობა გაქვთ ბავშვთან დამოკიდებულია იმაზე, რას ხედავთ, როცა მას უყურებთ და რასაც ხედავთ, დამოკიდებულია იმაზე, ვინ ხართ თქვენ. შეიძლება არც გაქვთ გაცნობიერებული, მაგრამ სწავლების თქვენი სტილი, როგორ უდგებით და რეაგირებთ ბავშვების მოთხოვნებზე, როგორ მოაწყობთ ოთახს, შეარჩევთ და წარმოადგენთ აქტივობებს, ბავშვის განვითარებასა და თეორიაზე თქვენი ცოდნაც კი, იფილტრება თქვენი ემოციების, ოჯახური წარმომავლობის, განათლების, ტემპერამენტის, რწმენის, ფასეულობებისა და კულტურის პრიზმაში (Bowman, 1989). ამიტომაც მნიშვნელოვანია, გაიგოთ, ვინ ხართ, რა არის მნიშვნელოვანი თქვენთვის, გაარკვიოთ მიზეზი, რატომ აკეთებთ ამ საქმეს, რათა განსაზღვროთ თქვენი ფილოსოფია ბავშვის ზრუნვასა და განათლებაზე, იცოდეთ, როგორი გინდათ იყვნენ თქვენ მზრუნველობაში მყოფი ბავშვები. საკუთარი თავის კარგად გაცნობა საშუალებას გაძლევთ, ბავშვი უფრო ზუსტად შეაფასოთ.

საკუთარ შინაგან სამყაროში შეხედვის სხვა მიზეზიც არსებობს. როცა პრობლემური ქცევის ბავშვთან ხართ, მნიშვნელოვანია, რომ წყნარად და თავშეკავებულად

მოიქცეთ. თუ თქვენ თავდაცვით პოზიციას დაიჭერთ, დამაბული იქნებით და საშუალებას მისცემთ მას თავისი ძალა გამოაჩინოს (ან ემოციურად დაგდაბოთ), თქვენ ვეღარ შეძლებთ, იფიქროთ და იმოქმედოთ რაციონალურად. ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელია, აჩვენოთ ბავშვს, რომ პირდაპირ და აგრესიის გარეშე შეგიძლიათ ძლიერი და უარყოფითი ემოციების მიღება, გაკონტროლება და გამოხატვა. მან უნდა დაინახოს, რომ არ გეშინიათ მისი ძლიერი ემოციების და არ დასჯით, არ დაემუქრებით ან არ გარიყავთ (Furman, 1986).

საკუთარი თავის გაცნობა ჯადოსნური ძალით არ აღგავსებთ, მაგრამ ის გაზრდის საკუთარი თავის გაკონტროლების უნარს და საშუალებას მოგცემთ, მიიღოთ საკუთარი გრძნობები და ისაუბროთ მათზე, რათა გულწრფელი იყოთ საკუთარი თავისა და ბავშვების წინაშე. ამით ბავშვსა და მის გარემოს უფრო მკაფიოდ დაინახავთ და ყურადღების გამახვილებასა და რეაგირებას უფრო სრულყოფილად და სათანადოდ შეძლებთ.

რა ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა გაქვთ პრობლემური ქცევის მქონე ბავშვთან?

უარყოფითი დამოკიდებულება აუცილებლად ქმნის ყველაზე მაღალ ბარიერს თქვენსა და პრობლემური ქცევის მქონე ბავშვს შორის. ის წარმოშობს ბევრ ემოციას – შიშს, რომ ვიღაც დაზარალდება, იმედგაცრუებას, რომ ვერ შეასრულებთ დაგეგმილ საქმეს, მღელვარებას, რომ ვერ შეძლებთ მისი ქცევის მართვას, გაბრაზებას, დანაშაულს, წყენას, არაადეკვატურობასა და ბრალის დადებას. მან შეიძლება, გაგახსენოთ ის თვისებები, რაც განსაკუთრებით არ მოგწონთ საკუთარ თავში, მაგალითად, დაუფიქრებლად მოქმედება ან შეიძლება ცუდი მოგონებები გაგიცოცხლოთ და გაგახსენდეთ, როგორ გეშინოდათ ბიჭის, რომელიც მეორე კლასში გამცირებდათ.

წინასწარი განწყობა

ნენსი ბალაბანი ნაშრომში „ბავშვის დანახვა, პიროვნების ამოცნობა“ (1995) გვამოუბრებს განსაცვიფრებელ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ემოციებმა დაამახინჯოს მასწავლებლის შეხედულება ბავშვის შესაძლებლობებზე.

შვიდი წლის ბავშვების მასწავლებელს არ მოსწონს, რომ დღის განმავლობაში ტიმი „მასწავლებლო, მასწავლებლო“ ძახილით თან დაჰყვება. მასწავლებელს განსაკუთრებით აღიზიანებს, როცა ის ცხვირს იჩიჩქნის.

ერთ დღეს მასწავლებელმა შემოიტანა ქვიშა და ბავშვებს მასზე დაკვირვება დაავალა. თან ჩაიწერა იმ ჯგუფის აქტივობა, რომლის შემადგენლობაშიც ტიმი შედიოდა.

ჩანაწერი შეიცავდა ტიმის სიტყვებს: „ქვიშა უფრო სწრაფად გამოდის, როცა ხვრელი ფართეა!“ ჩანაწერის ხმამალა კითხვისას მასწავლებელმა ტიმის ნათქვამი უგულვებელიყო, სანამ კურსის რამდენიმე წევრმა მის აღმოჩენას ყურადღება არ მიაქცია. წინასწარმა განწყობამ მასწავლებელს ხელი შეუშალა, ბავშვის მიღწევა დაენახა (გვ.50).

წყარო: Nancy Balaban, *Infant and Parent Development and Early Invention program, Bank Street Graduate School of Education.*

გარდა იმისა რომ უარყოფითი ემოციები თქვენს ყურადღებაზე, მეხსიერებაზე, წარმოდგენებზე, პრობლემების გადაჭრასა და მოტივაციაზე ახდენს გავლენას (Sutton & Wheatley, 2003), ის გადამდებიცაა (Coleman, 2006a). როცა ბავშვი არ მოგწონთ, ის ხვდება ამას და მას კიდევ უფრო მეტად არ მოეწონებით . თუ ვერ ახერხებთ თქვენს ემოციებში გარკვევას, რთულია მათი გაკონტროლება ან შეცვლა . მათ შეუძლიათ, ადვილად დაამახინჯონ თქვენი აღქმა ბავშვის ქცევასა და შესაძლებლობებზე.

საკუთარ ოჯახთან ურთიერთობა, წარსული გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ რეაგირებას მოახდენთ ბავშვის მოთხოვნილებებზე (Pianta, 1999). , რაც რაციონალურ ქმედებას ართულებს.

მოსწავლეობის პერიოდი ძლიერ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ უყურებთ ბავშვების ქცევას (Bowman, Donovan & Burns, 2001). თუ სანიმუშო მოსწავლე იყავით, შესაძლოა გიჭირდეთ მოთმინებისა და თანაგრძნობის გამოჩენა ცუდი ქცევის ბავშვის მიმართ . ან შესაძლოა მაგალითი აიღეთ იმ მასწავლებლისგან, ვინც კვირაში ერთხელ მაინც გიშვებდათ საკლასო ოთახიდან. როგორც კარლ როჯერსი და ჯერომ ფრიბერგი აცხადებენ ნაშრომში „თავისუფლების სწავლა“ (1994), „ჩვენ იმავე საშუალებებით ვასწავლით, რითაც ვსწავლობთ და ბავშვებს ისე ვსჯით, როგორც ჩვენ ვისჯებოდით“ (გვ. 241).

ქმედებაში თქვენი ხასიათიც ერთვება. თუ ძლიერი ხასიათისა და რეაქციების მქონე ადამიანი ხართ, ზოგიერთი ბავშვი შესაძლოა შეშინდეს და არაპროგნოზირებულად მოიქცეს. თუ ინდიფერენტული ხართ, აღმოაჩენთ, რომ ბავშვები, რომლებსაც ემოციური კონტაქტი სჭირდებათ, ყოველთვის წინააღმდეგობას გაგიწევენ (Pianta, 1999).

თქვენი ფასეულობები ასევე ძლიერ გავლენას ახდენენ (Vartuli, 2005), მაგრამ რადგან ისინი ჩვეულებრივ, თქვენი კულტურისა და აღზრდის ნაწილია, შესაძლოა ამის შესახებ არც კი იცოდეთ. როცა ბავშვი თვალეშში არ გიყურებთ, ადვილია ,მას უზრდელი უწოდოთ, სანამ არ გააცნობიერებთ, რომ მის კულტურაში უფროსთან თვალთ კონტაქტი შესაძლოა უპატივცემულობის, ზიზღის ან აგრესიის ნიშანი იყოს.

ან თუ ისე გაიზარდეთ, რომ გჯერათ, ბავშვებმა ის უნდა აკეთონ, რასაც უფროსი ეტყვიტ, შეიძლება გეწყინოტ, როცა ბავშვი შეგეკითხებატ, ზღაპრის კითხვის დროს რატომ უნდა ჩაგიჯდეთ კალთაში.

ეს ბარიერები, ყველა შემთხვევაში, მოქმედებენ და გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ ხედავტ ბავშვებს, ამახინჯებს ტქვენს მოლოდინებს და გავლენას ახდენს იმაზე, როგორ ხედავენ ისინი თავიანტ თავს და ქცევას. საბედნიეროდ, ასეთი დაბრკოლებები არ არის მუდმივი. როცა დაფიქრდებით, ვინ ხართ და რისი გწამტ, შესაძლებელი ხდება მათი შეცვლა ან მოშორება.

ბარიერები, დაბრკოლებები და ფილტრები

პრობლემური ქცევის ბავშვი აღძრავს ყველა ტიპის ემოციას, დამოკიდებულებასა და ვარაუდს. არსებობს რამდენიმე გავრცელებული რეაქცია:

- ის არ უნდა იყოს ჯგუფში
- მე არ ვარ მომზადებული ასეთ ბავშვებტან სამუშაოდ
- მე ვერ ვუზრუნველვყოფ სხვა ბავშვების უსაფრტხოებას
- სხვა ბავშვები ვერ იღებენ იმას, რასაც იმსახურებენ
- ბავშვი განზრახ მიქმნის პრობლემებს
- მე არ შემიძლია მისი დახმარება _ მშობლებს მივმართავ
- ბავშვებს პატივისცემის გრძნობა ეკარგებატ.

ეს განწყობები საშუალებას გაძლევტ, გაიგოტ, როდის უნდა იმოქმედოტ.

რა არის თვითანალიზი?

ბოლო დროს, შესაძლოა, ბევრი იფიქრეტ, რა არის ტქვენტვის მნიშვნელოვანი. რისი გაკეთება გინდატ. ამისტვის უნდა გაარკვიოტ, რა და სად უნდა ისწავლოტ. ამ გადაწყვეტილებების მიღებისას გულდასმით უნდა დააკვირდეთ ტქვენს ინტერესებს, ნიჭს და ტქვენი ოჯახისა და ფინანსური მდგომარეობის გატვალისწინებით მიიღოტ გადაწყვეტილება. როგორც როჯერსი და ფრიბერგი (1994) აცხადებენ, „ჩვენ ყველანი მთელი ძალისხმევით ვცდილობტ, აღმოვაჩინოტ ჩვენი იდენტობა, როგორი ვართ და როგორი გვსურს, რომ ვიყოტ. ეს არის ძალიან საფუძვლიანი ძიება ჩვენი ტანსაცმლის, ჩვენი ტმის, ჩვენი გარეგნობის შესახებ. უფრო მნიშვნელოვანი დაკვირვებისას ეს ძიება მოიცავს ჩვენი ფასეულობების არჩევანს, ჩვენს პოზიციას მშობლებსა და

სხვებთან ურთიერთობაში, საზოგადოებაში, მთელი ცხოვრების ფილოსოფიაში“ (გვ.52).

ამას თვითნაწილი ჰქვია. ეს არის დამოკიდებულებაც და მეთოდიც – თქვენი უნარ-ჩვევების გაზრდის სტრატეგია და სურვილი, ჩაუღრმავდე საკუთარ თავსა და სამუშაოს. რატომ ვაკეთებ, რასაც ვაკეთებ და როგორც ვაკეთებ?

როცა დაფიქრდებით თქვენს გრძნობებზე, ფასეულობებსა და იმაზე, თუ რა გავლენას ახდენენ თქვენს ქცევაზე, ურთიერთობა, თითოეულ ბავშვთან, უფრო გააზრებული ხდება. საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა მატულობს, რადგან თქვენი ქმედება წინასწარ დაგეგმილი ხდება და უფრო მეტად აკონტროლებთ თავს. .

როგორ ფიქრობთ?

გაიაზრეთ, რა მოხდება თქვენსა და ბავშვებს შორის, თუ განსაზღვრულ დროს დაუთმობთ საკუთარი ისტორიისა და კულტურის გაცნობას. როგორც ანთროპოლოგი, დაფიქრდით საკუთარ თავზე და შეისწავლეთ ყველაზე საინტერესო ადამიანი: საკუთარი თავი.

იფიქრეთ თქვენს ბავშვობაზე. როგორი იყო თქვენი ოჯახის აღზრდის ფილოსოფია? ვინ ზრუნავდა თქვენზე, როცა სიმშვიდე და დახმარება გჭირდებოდათ? რა როლს ასრულებდნენ თქვენი ნათესავები? როგორ გაჩვევდნენ დისციპლინას? გაქებდნენ მშობლები, გაგრძნობინებდნენ, რომ განსაკუთრებული ხართ, თუ საკუთარ თავს ჰპირდებოდით, რომ მათ მეთოდს არასოდეს გამოიყენებდით თქვენს ბავშვთან? თუ არსებობს რაიმე თქვენს ადრეულ ბავშვობაში, რაც არ გახსოვთ ან ვერ იგებთ, ისაუბრეთ ამის შესახებ თქვენს მშობლებთან, და-მმასთან, ბებია-ბაბუასთან, დეიდა-მამიდასთან, ბიძებთან ან ბიძაშვილებთან.

ასევე გაიხსენეთ სწავლის პერიოდი. რომელი მასწავლებელი მოგწონდათ და რომელს ვერ იტანდით? რატომ? რას ამბობდნენ და აკეთებდნენ ისინი და რას გრძნობდით თქვენ?

შეგიძლიათ დაინახოთ თქვენს პიროვნებაში ბავშვი, რომელიც უწინ იყავით? სავარაუდოდ, ის თქვენთან ერთად არის, როცა ბავშვებთან ურთიერთობთ და გავლენას ახდენს თქვენს რეალობის აღქმასა და ქცევაზე.

როდის დაფიქრდებით?

იდეალურ სიტუაციაში მასწავლებელი ყოველთვის უნდა დაფიქრდეს, რას აკეთებს, რატომ აკეთებს და რას გრძნობს. ჟანეტ გონსალეს მენა (2008) გვიჩვენებს: „გაარკვიეთ, რა გაწუხებთ, იმის ნაცვლად, რომ ამ დარდს ყურადღება არ მიაქციოთ და იმედი იქონიოთ, რომ გაივლის. ეცადეთ, გაარკვიოთ, სხვების მხრიდან რა კონკრეტული ქცევა გაგრძნობინებთ თავს არაკომფორტულად და მიხვდეთ, ზუსტად რა ქმნის თქვენში ამ დისკომფორტს“ (გვ.60).

ნებისმიერ დროს, როცა ამაღლებელი შემთხვევა მოხდება – იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო – საჭიროა დაფიქრდეთ. სანამ დაგავიწყდებათ რა მოხდა, დაჯექით და კონცენტრირება მოახდინეთ ამ ამბავზე. გაიხსენეთ, რა მოხდა, რა იგრძენით და როგორი რეაქცია გქონდათ. თუ მიხვდებით, რამ მისცა ბიძგი თქვენს ემოციებს და საიდან წარმოიშვა, შეძლებთ, დაინახოთ, თუ როგორ მოახდინა გავლენა თქვენს მუშაობაზე და როგორ შეგიძლიათ დაიწყოთ სიტუაციის გაუმჯობესება. იმის მიუხედავად იცით თუ არა ზუსტად ემოციის გამომწვევი მიზეზი, მეტად შეძლებთ მის გაკონტროლებას, თუ გეცოდინებათ, რომ ეს ემოცია არსებობს. ალბათ, მომავალში, უფრო ადრე შენიშნავთ მას და სხვაგვარ რეაგირებას მოახდენთ.

ამის კარგად გაკეთებას პრაქტიკა სჭირდება, მაგრამ ეს ნამდვილად შესაძლებელია. დაადგენთ თუ არა თქვენი შემფოთების მიზეზს, დესტრუქციული აზრებით ტკბობის შესაწყვეტად თქვენ შეძლებთ ქცევის თერაპიის ტექნიკის გამოყენებას. სიტუაციას გონების თვალთვლით გვერდიდან შეხედავთ, მოახდენთ ყურადღების კონცენტრირებას. თუ გაიფიქრეთ: „ ისევ მიდის, ვერასდროს ვეღარ დავამთავრებ ამ გაკვეთილს“, ღრმად ამოისუნთქეთ და საკუთარ თავს შემოუძახეთ: „გაჩერდი, ასე არაფერი გეშველება“ (შეგიძლიათ, თანამიმდევრობით წარმოიდგინოთ ყველაფერი, რაც დაგამშვიდებთ – კონცენტრირება მოახდინეთ რაიმე სასიამოვნოზე, ან წარმოიდგინეთ სასხლეტი, რომელიც თქვენს ფიქრებს გაფანტავს). შემდეგ თქვენი უსიამოვნო ფიქრები დადებითით შეცვალეთ: „ის ცდის ჩემს შესაძლებლობებს, მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო, უნდა გავჩუმდე“. როცა სტერეოტიპულ რეაქციას უკან მოიტოვებთ, მზად იქნებით შემდეგი ნაბიჯი გადადგათ და გაითვალისწინოთ ბავშვის საჭიროებები: „მას, როგორც ჩანს, მძიმე დილა ჰქონდა სახლში. მის გვერდით დავჯდები და იქნებ დავეხმარო“.

ხანდახან ,თქვენ და ბავშვი, განსაკუთრებით ვერ ეწყობით ერთმანეთს, მისგან მხოლოდ პრობლემებს ელით, მაგრამ ის ბოდიშს იხდის. თქვენ იმედგაცრუებული ხართ და კონტროლს კარგავთ. განსაკუთრებით რთულია, პოზიტიურად იფიქროთ მასზე. ფაქტობრივად, როცა ასეთი ურთიერთობები გაქვთ, სავარაუდოდ, თქვენ ბავშვის კარგ საქციელს ვერც შენიშნავთ.

ეს დამოკიდებულება, დამალვის მიუხედავად, თქვენი სხეულის ენასა და ინტონაციაში მჟღავნდება. გაფრთხილებთ, რაღაც ძალიან ცუდი ხდება თქვენსა და ბავშვს შორის. ფსიქოლოგ რობერტ პიანტას სიტყვებით რომ ვთქვათ (1999), თქვენი ურთიერთობა „ჩიხში შედის“ ან „ჩაკეტილია“ და ხელს გიშლით მას ეფექტურად ასწავლოთ.

ეს სიტუაცია შესაძლებლობას გაძლევთ, თავს მკაცრად შეხედოთ და ახლებური მიდგომა სცადოთ. პიანტას თქმით (1999), უნდა გაარკვიოთ, რას გრძნობთ და გაიგოთ, როგორ არის ეს დაკავშირებული იმასთან, რასაც აკეთებთ (მაგალითად, რთულია პოზიტიურად უპასუხოთ, თუ იფიქრებთ, რომ ბავშვი განზრახ გიქმნით პრობლემებს). ყველაზე მნიშვნელოვანია, მოიშოროთ აკვიატებული აზრები და გაიხსნათ ახალი ემოციების, შეხედულებებისა და ურთიერთობების მისაღებად. ამ პროცესში დაგეხმარებათ კოლეგებთან საუბარი. დააკვირდით, რა ხდება ჯგუფში და საგანგებოდ ეძებეთ პოზიტიური ქცევა.

ვინ დააჭირა ხელი ღილაკს?

ქალბატონ უილიამსს სწავლების დიდი გამოცდილება ჰქონდა და რთული ქცევის ბავშვებთანაც თავდაჯერებულად გრძნობდა თავს. იუმორის გრძნობითა და ბავშვების ხასიათის კარგი ცოდნით ყოველთვის ახერხებდა, დახმარებოდა მათ უნარ-ჩვევების რეალიზებასა და განსაკუთრებულ მიღწევებში.

მაგრამ ქალბატონმა უილიამსმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როცა ჯოზეფი შემოვიდა მის კლასში. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას აკეთებდა, ბავშვი პასუხად იგინებოდა. თავის გაკონტროლების მცდელობის მიუხედავად, ის მოთმინებას კარგავდა, როცა ჯოზეფი ამ სიტყვებს ამბობდა. იცოდა, ჯოზეფის ცუდი თვისება არასწორი აღზრდის შედეგი იყო, მაგრამ არ იცოდა, რა გაეკეთებინა.

ერთ დღეს მეგობარმა ურჩია, რომ მანამდე ეყვირა ეს სიტყვები სარკეში, სანამ მნიშვნელობას არ დაკარგავდნენ. რადგან სხვა ვერაფერი მოიფიქრა, გადაწყვიტა ეცადა. იმ საღამოს შევიდა სააბაზანოში, ჩაკეტა კარი და საკუთარ თავს სარკეში დაუწყო გინება. რამდენიმე წუთის შემდეგ ქმარმა დაუკაკუნა და ჰკითხა, „ხომ კარგად ხარ?“ ის მიხვდა, რომ უკეთესად იყო და სიცილი დაიწყო. როცა ბავშვებთან დაბრუნდა, გააცნობიერა, რომ უკვე მშვიდად და სათანადოდ რეაგირებდა ჯოზეფის გაბრაზებაზე და საკუთარი გრძნობების ნაცვლად მის გრძნობებზე ახდენდა კონცენტრირებას.

არსებობს რაიმე ხერხი, რაც გააზრებაში დაგეხმარებათ?

არსებობს რამდენიმე ხერხი, რაც სიტუაციის გააზრებაში დაგეხმარებათ. ერთ-ერთი ტრადიციული საშუალება ჟურნალის წარმოებაა. აქ იგულისხმება ჩანაწერების გაკეთებაც და „სწავლებისა და ბავშვების შესახებ თანამიმდევრული და კრიტიკული დაფიქრებაც“ (Ayers, 2001, გვ. 38). საშუალება გეძლევათ, სიტუაცია ხელახლა გაისიგრძეგანოთ, ნაწილებისაგან მთელი შექმნათ და თქვენი აზრების დაწერით უკეთესად შეიცნოთ საკუთარი თავი. როცა თქვენთვის წერთ და არ ნერვიულობთ, რას იტყვიან სხვები, დამოკიდებულებები და აზრები სპონტანურად იღვრება და შედეგად დაფარული ცხადი ხდება.

თქვენ შეგიძლიათ კონცენტრირება გააკეთოთ ყოველდღიურ ამბებზე, რთულ და დასამახსოვრებელ შემთხვევებზე, ერთ ან რამდენიმე ბავშვზე, ან ერთ ან მრავალ თემაზე. თუ რვეულს იყენებთ, ეცადეთ, ერთი მხარე გამოიყენოთ ჩანაწერებისათვის, მეორე- ბავშვებისა და თქვენი აზრებისთვის. თან ატარეთ და ოთახში მოხერხებულ ადგილას შეინახეთ. თუ ყოველდღიურად ჩანაწერების გაკეთების რეგულარულ დროს დააწესებთ, დასახულ ამოცანას უფრო ზედმიწევნით შეასრულებთ. როცა ჯგუფში პრობლემური ქცევის ბავშვი გყავთ, ჩანაწერები დაგეხმარებათ, გაარკვიოთ, რა იქნება უკეთესი და რატომ.

თუმცა, ზოგიერთს ფიქრების გახმოვანება მოსწონს. ეჭვების, ემოციებისა და გამოცდილების გაზიარებისათვის სასარგებლოა უსაფრთხო, მზრუნველი გარემოს არსებობა. ამისათვის, უნდა დაადგინოთ რეგულარული დრო მეგობრებთან ან კოლეგებთან შესახვედრად პირადად, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ჩვეულებრივ, პრობლემებს მეტ ყურადღებას ვაქცევთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ წარმატებებსაც უნდა დავუთმოთ დრო. თქვენი წარმატებები თქვენ საქმიანობაზე ამბობს იმდენივეს, რამდენსაც ნებისმიერი პრობლემა.

იყავით მომთმენი საკუთარი თავის მიმართ და „საბოლოოდ, დაფიქრება რელექსურ, ინსტიქტურ ხასიათს მიიღებს. ეს ძალისხმევა გააძლიერებს თქვენს კომპეტენციას, თავდაჯერებულობასა და შესაძლებლობას, რომ პრობლემური ქცევის მქონე ბავშვებთან ეფექტურად იმუშაოთ (Vartuli, 2005).

ბავშვის გაგება

თქვენ ხართ თანასწორი ურთიერთობის ერთი მხარე, ბავშვი კი – მეორე. როგორც თქვენ შეგაქვთ თქვენი ისტორია ჯგუფში, ასევე შემოაქვს მასაც. პრობლემური ქცევის ბავშვის წარსული თქვენს წარსულზე ხანმოკლეა, ამიტომაც ის ნაკლებად მყარია და უფრო მეტად შესაძლებელია მისი შეცვლა. მაგრამ ტვირთი, რასაც ის ეზიდება, მაინც მძიმეა და აუცილებლად მოიცავს რისკსა და თავდაცვით ფაქტორებს, რაზეც ჩვენ

უკვე ვისაუბრეთ. როცა ურთიერთობების აწყობას იწყებთ, თქვენ შესაძლოა გინდოდეთ, დაინახოთ ამ ჩემოდნებში რა არის.

როგორია მიჯაჭვულობის როლი?

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ბავშვს სულ თან სდევს, მის პირველ მომვლელთან ურთიერთობაა. ხშირ შემთხვევაში ეს დედაა, მაგრამ შეიძლება იყოს მამაც, ბებიაც ან სრულიად სხვა პიროვნებაც. სწორედ ეს ურთიერთობა არის თქვენთან ურთიერთობის დამყარების საფუძველი.

ჩვენ ვიცით, რომ ადრეული ურთიერთობების შესწავლა დაიწყო ჯონ ბოულბმა, მისი აზრები ჩვენი აზრების ისეთ განუყოფელ ნაწილად არის ქცეული, რომ ძნელია იმის წარმოდგენა, რამდენად რევოლუციური იყო ეს აზრები ორმოცდაათი წლის წინ. ბოულბი აცხადებს, რომ ჩვილები ემოციური არსებები არიან, რომლებსაც ბუნებრივი კავშირი აქვთ თავიანთ მომვლელებთან და უფროსების ბავშვებთან ურთიერთობის რაგვარობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ადამიანად ჩამოყალიბდება ბავშვი (Ainsworth, Blehar, Water & Wall, 1978; Bowlby, 1969/1982).

ბოულბის აზრით (Ainsworth et al., 1978; Bowlby, 1969/1982), ჩვილები, სხვა სახეობების მსგავსად, ინსტინქტური ქცევებით იბადებიან, რაც მათ გადარჩენაში ეხმარება. ისეთი ქმედებები, როგორიც არის ტირილი, ღიმილი, ხმის გამოცემა, ჩაჭიდება და მიკვრა ჩვილებს პირველ მომვლელთან აახლოებს, რომლებიც რეაგირებენ მათ ლულუნსა და წუწუნზე, კვებავენ და აწყნარებენ, იცავენ საშიშროებისაგან და აცნობენ მათ გარემოს. ეს ქცევა ხელს უწყობს *მიჯაჭვულობის* ჩამოყალიბებას – ეს არის ბავშვების სასიცოცხლოდ აუცილებელი ემოციური ურთიერთობა პირველ მომვლელთან ან *მიმჯაჭველ პირთან*, ვინც იცავს მას და ემოციურად ეხმარება (Ainsworth et al., 1978; Bowlby, 1969/1982). გასული საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების პირველ კვლევებში ამერიკელმა ფსიქოლოგმა მერი ეინვორსმა (Ainsworth et al., 1978) მშობლების ყოველდღიური ქცევის ბავშვებზე გავლენის ბოულბის თეორია, მტკიცებულებების წარმოდგენით, დოკუმენტურად განამტკიცა. ეინვორსი უგანდასა და შეერთებულ შტატებში ყურადღებით დააკვირდა შინ დედებსა და ბავშვებს. ის აკვირდებოდა ცხოვრების პირველ წლებში მიჯაჭვულობის განვითარების პროცესს, როცა ბავშვები იწყებენ პირველი მომვლელის ცნობას, უპირატესობის მინიჭებას, ძიებასა და მიჯაჭვულობის განვითარებას.

ეს დაკვირვებები ეინვორსს საშუალებას აძლევდა, მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაეკეთებინა: ჩვილის უსაფრთხოების განცდა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ზრუნავს მიმჯაჭველი პირი ბავშვზე. ცხოვრების პირველ წლებში ბავშვს

მიჯაჭვულობის სტრატეგია) ემოციებისა და ქცევის ორგანიზების საშუალება – უვითარდება, რაც მის კონკრეტულ მდგომარეობას შეესაბამება. ეს არის სტრატეგია, რაც საშუალებას აძლევს, გაუმკლავდეს გარკვეულ გარემოებებს და მისთვის უსაფრთხოება და სიმშვიდე მოაქვს (van Ijzendoorn, Schuengel & Bakermans-Kranenburg, 1999; Weinfeld, Sroufe, Egeland & Carlso, 1999). მიჯაჭვულობის ყველა სტრატეგია ნორმალური, შეგუებადი და ფუნქციონალურია. პრობლემა ის არის, რომ რაც კარგია ბავშვის ოჯახში, შესაძლოა, არ გამოდგეს მის გარეთ (Greenberg, DeKlyen, Speltz, & Endriga, 1997).

რა გავლენას ახდენს მიჯაჭვულობა ქცევაზე?

ბოულის მიხედვით (1969/1982), ჩვილები ქმნიან *შინაგან სამუშაო მოდელებს*, თუ როგორია ურთიერთობა, რაც მიმჯაჭველ პირებთან მათი ურთიერთობის გამოცდილებას ეყრდნობა. თუმცა ეს მოდელები არ არის ცნობიერი, ისინი ამზადებენ ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარების საფუძველს, ასწავლიან ბავშვებს, როგორ დაინახონ საკუთარი თავი, სხვა ადამიანები და სამყარო და ამავე დროს მომავალი ურთიერთობების, მათ შორის, მასწავლებლებსა და თანატოლებთან ურთიერთობის ნიმუშს ქმნიან.

საიმედოდ მიჯაჭვული ბავშვები (Weinfeld et al., 1999) იღებენ თბილ, ყურადღებით აღსავსე და რეაგირებად მზრუნველობას მთავარი მომვლელისაგან, ვისაც მათთან ყოფნა სიამოვნებს. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ისინი სხვა ადამიანებისათვის ქმნიან შინაგან სამუშაო მოდელებს და ხვდებიან, რომ შეუძლიათ ის მიიღონ გარემოსგან, რაც სჭირდებათ. მათ დადებითი შეხედულება უყალიბდებათ ცხოვრებაზე, იციან, როგორ მართონ და გამოხატონ გრძნობები (Honig, 2002; Karen, 1998), აქვთ კარგი სოციალური უნარ-ჩვევები, მაღალი თვითშეფასების უნარი და ჰყავთ ბევრი მეგობარი. ისინი ასევე კარგად უმკლავდებიან პრობლემებს, როცა სჭირდებათ, დახმარების თხოვნაც შეუძლიათ და სკოლაშიც კარგი მიღწევები აქვთ (Howes & Ritchie, 2002). ბავშვების დაახლოებით 55% საიმედოდ მიჯაჭვულია (van Ijzendoorn, 1995).

არსებობს არასაიმედო მიჯაჭვულობის ორი ტიპი: *წინააღმდეგობის მომცველი/ამბივალენტური* ან *თავის ამრიდებელი*. მთავარი მომვლელი, რომელსაც ბავშვთან ამბივალენტური მიჯაჭვულობა აკავშირებს, ბავშვის სიგნალებზე არაპროგნოზირებულად რეაგირებს (Ainsworth et al., 1978). რადგან ბავშვს არ შეუძლია დაეყრდნოს მას და უსაფრთხოდ და მშვიდად იგრძნოს თავი, ის შინაგან სამუშაო მოდელებს ავითარებს, სადაც ვერ იღებს იმას, რაც სჭირდება და ვერ ენდობა სხვებს, ვისაც მისი დახმარება სურთ. არ არის გასაკვირი, რომ ბავშვები, რომლებსაც ამბივალენტური მიჯაჭვულობა აკავშირებთ სხვებთან, ხდებიან უფროსებზე

მიწებებულები, დამოკიდებულები და მომთხოვნები (Weinfeld et al. 1999). ხანგრძლივი კვლევების საფუძველზე ლ. ალან სროუფემ (1983, Karen, 1998) დაასკვნა, რომ ასეთი ბავშვები იოლად ბრახდებიან, არიან იმპულსურები და ადვილად უცრუვდებათ იმედი. დაბალი თვითშეფასება, ხშირად, მათ ძალადობის მსხვერპლად აქცევს. ისინი ხშირად კონცენტრირებას ახდენენ მასწავლებელზე და მისი ყურადღების მისაპყრობად კონფლიქტს ქმნიან (Howes & Ritchie, 202, Karen, 1998). ბავშვების დაახლოებით 8%-ს ამბივალენტური მიჯაჭვულობა ახასიათებს (van Ijzendoorn, 1995).

იმ ბავშვის ძირითადი მომვლელი, რომელსაც ამბივალენტური *მიჯაჭვულობა* ახასიათებს, კონფლიქტური, გაბრაზებული, გაღიზიანებული და მტრულია. ბავშვები, რომლებიც იზრდებიან ამ პირობებში, თვლიან, რომ სიყვარულის ღირსები არ არიან და არ სჯერათ, რომ ადამიანები მათ გვერდში დაუდგებიან (Karen, 1998, Renken, Egeland, Marvinney, Mangelsdorf & Sroufe, 1989). თავი რომ დაიცვან უარყოფისაგან, უარს ამბობენ გრძნობებზე და მოქმედებენ ისე, თითქოს არაფერი აინტერესებთ, მაგრამ ამ გარეგნული უხეშობის მიღმა გულნატკენები, მოწყენილები და გაბრაზებულები არიან და საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად აგრესიულად მოქმედებენ (Kobak, 1999). ბავშვების დაახლოებით 23% თავის ამრიდებელთა კატეგორიას მიეკუთვნება (van Ijzendoorn, 1995).

იმ ბავშვის ძირითად მომვლელს, რომელსაც *არაორგანიზებული/დეზორიენტირებული* მიჯაჭვულობა ახასიათებს, თავად აქვს სერიოზული პრობლემები – მას შეიძლება ჰქონდეს ფსიქური პრობლემები, ძლიერ დეპრესიაში, ხანდახან ის შეშინებულია და არ შეუძლია საკუთარი ცხოვრების მართვა, ხანდახან კი საშიში – გაბრაზებული, მტრული და გარიყული. ისინი ხშირად ძალადობენ ბავშვებზე. ბავშვების 48%-ს, რომლებსაც ცუდად ეპყრობოდნენ, არაორგანიზებული მიჯაჭვულობა ახასიათებდა (van Ijzendoorn et al., 1999). ერთსა და იმავე დროს ის არის საშიშროებისა და საიმედოობის, განგამისა და სიმშვიდის წყარო (Lyons-Ruth & Jacobvitz, 1999). ამ რთული გამოცდილებით ბავშვები აყალიბებენ იმ ადამიანების შინაგან მოდელებს, რომლებსაც ვერ ენდობიან, რომ მათზე იზრუნებენ და მათ სამყაროს მართავენ (Lyons-Ruth, 1996). მათ ცუდი სოციალური უნარ-ჩვევები, დაბალი თვითკონტროლის უნარი აქვთ და იმედგაცრუებას ადვილად ეგუებიან რადგან ვერ განავითარეს სტრესთან ან ძლიერ ემოციასთან გამკლავების ორგანიზებული სტრატეგია, ბევრ მათგანს ხშირად აქვს სერიოზული ქცევითი პრობლემები, მათი ქმედება მასწავლებლებსა და თანატოლებთან არაპროგნოზირებადი და აგრესიულია (Lyons-Ruth, 1996; van Ijzendoorn et al., 1999).

ბავშვების უმეტესობა, რომლებსაც არაორგანიზებული მიჯაჭვულობა ახასიათებთ, სკოლის ადრეული წლებიდან ახალ სტრატეგიას ავითარებენ. დედასთან ურთიერთობა უფრო პროგნოზირებადი და ნაკლებად შიშისმომგვრელი რომ გახადონ, მათი ქცევა ხდება მაკონტროლებელი (Humber&Moss, 2005, Moss et al., 2005), რაც უქმნის პრობლემებს თანატოლებსა და მასწავლებლებთან, რადგან მათ მბრძანებლებად ან ხისტებად მიიჩნევენ (Greenberg, 1999).

თავის ამრიდებელი და არაორგანიზებული ქმედება ხშირად ერთად იჩენს თავს და ორივე ასოცირდება თანატოლების მიერ უარყოფასთან, ემოციურ არეულობასა და სკოლასთან ცუდ შეგუებასთან (Granot&Mayseless, 2001). მაგრამ ამ ბავშვებს ახასიათებს არაორგანიზებული მიჯაჭვულობა (განსაკუთრებით მისი კონტროლირებადი ნაირსახეობა) და უფრო მეტი ალბათობით იქცევიან აგრესიულად (Lyons-Ruth&Jacobvitz, 1999; Moss et al., 2005; van Ijzendoorn et al., 1999). თუმცა საშუალო კლასის ოჯახების ბავშვების 15% არაორგანიზებულ მიჯაჭვულობას ავლენს. იმ ოჯახებში, სადაც სიღარიბე, ცუდი მოპყრობა, ნარკოტიკებისადმი ან ალკოჰოლისადმი მიდრეკილებაა, პროცენტული მაჩვენებელი ორ ან სამჯერ მეტი შეიძლება იყოს (van Ijzendoorn et al., 1999).

მიჯაჭვულობის სტრატეგიები არ არის უცვლელი, ისინი შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების გარემოებებთან ერთად (Weinfeld et al., 1999). როცა ბავშვის გარემო სტაბილურია, მიჯაჭვულობა და სამუშაო მოდელები სტაბილური რჩება (Hamilton, 2000; Moss et al., 2005; Waters, Merrick, Treboux, Crowell, & Albersteim, 2000), მაგრამ მაღალი რისკის პირობებმა და მძიმე გამოცდილებამ შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს მშობლების შესაძლებლობებზე, ბავშვებს მშობლობა გაუწიონ და შედეგად, მიჯაჭვულობის შეცვლაც გამოიწვიოს (Waters, Weinfeld, & Hamilton, 2000; Weinfeld, Sroufe, & Egeland, 2000). თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს შეუძლიათ, ახალი ურთიერთობები ჩამოაყალიბონ მასწავლებლებსა და სხვა უფროსებთან, რაც ცვლის მათ შეხედულებებს საკუთარ თავსა და სამყაროზე. ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მიჯაჭვულობა ერთ-ერთი ფაქტორია სხვა ფაქტორებს შორის, რაც გავლენას ახდენს ბავშვის შედეგზე, რაც თავის მხრივ, არც აუცილებელია და არც საკმარისი შემდგომი ქცევითი პრობლემების გამოწვევისათვის. (Greenberg et al., 1997).

არის მიჯაჭვულობა კულტურით განსაზღვრული?

თუმცა მიჯაჭვულობის შესახებ კვლევების უმეტესობა ევროპულ ამერიკულ კულტურაში ჩატარდა, ბოულბიმ გვიჩვენა, რომ ის უნივერსალური, ევოლუციური პროცესის შედეგია, რაც უზრუნველყოფს ადამიანის სახეობის გადარჩენას (van Ijzendoorn&Sagi, 1999). ეინვსორსი დააკვირდა დედებსა და ჩვილებს ორ კულტურაში,

უგანდასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. სხვა კულტურათმორისმა მკვლევარებმა მხარი დაუჭირეს ბოულბის აზრს, რომელმაც ისრაელში, იაპონიაში, აფრიკაში, ჩინეთსა და კოლუმბიაში მიჯაჭვულობის სამი ძირითადი ნიმუში აღმოაჩინა. ბავშვების უმრავლესობა საიმედოდ მიჯაჭვული იყო ისრაელის კიბუცის თემშიც კი, სადაც ბავშვები კოლექტიურად ცხოვრობენ. მოსალოდნელიც იყო, რომ რასის, სქესის ან სოციალური კლასის მიუხედავად მიჯაჭვულობა ყველგან ჩანს (Posada, et al., 1995, van Ijzendoorn & Sagi, 1999).

რა თქმა უნდა, როცა ბავშვები მიდიან ბავშვებზე ზრუნვის ცენტრში ან სკოლაში, მათი მიჯაჭვულობის სტატუსი არ ჩნდება მათ ცხოვრებაში – ის ექსპერტმა უნდა შეაფასოს და კვლევის გარდა ამ ინფორმაციის შეკრებისათვის მცირე მიზეზი თუ არსებობს. მაგრამ როცა თქვენს ჯგუფში პრობლემური ქცევის ბავშვი გამოჩნდება, კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ეს მიჯაჭვულობა ბავშვების შინაგან სამყაროში იმალება, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე ბავშვებში (Howes & Ritchie, 1999).

ქათამი თუ კვერცხი

ზოგ მკვლევარს სჯერა, რომ მიჯაჭვულობის კლასიფიკაციის მიზეზი ხასიათია და არა მიჯაჭვულობა და რომ საიმედო მიჯაჭვულობა ახასიათებს იოლი ხასიათის მქონე ბავშვებს და არასაიმედო მიჯაჭვულობა კი – რთული ხასიათის მქონეებს (იხ. Karen, 1998)

ჰოლანდიის ლეიდენის უნივერსიტეტის მკვლევარმა დიმფნა ვან დე ბუმმა ნათელი მოჰფინა ამ წინააღმდეგობას გალიზიანებულ ჩვილებზე ჩატარებული კვლევით, იმ ჩვილებზე, რომლებიც იშვიათად იცინიან, ფორიაქობენ, და ნაკლებ სიამოვნებას იღებენ მშობლებთან ურთიერთობაში. რამდენიმე საათიანი ინდივიდუალური სწავლების შედეგად ალალბედზე შერჩეული ჯგუფიდან ნერვიული ბავშვების დედებს ასწავლა ფრთხილი რეაგირება სიგნალებზე. შემდეგ კვლევებში ეს ბავშვები ხდებოდნენ მეტად ურთიერთობის მოყვარულები, გახსნილები და უფრო ადვილად წყნარდებოდნენ, ვიდრე ის ბავშვები, რომელთა დედებსაც ეს სწავლება არ გაუვლიათ. ამ ბავშვების 60%-ზე მეტი გახდა საიმედოდ მიჯაჭვული, მაშინ როცა იმ ჯგუფში, რომელსაც სწავლება არ გაუვლია – 28%. სამი წლის ასაკში ეს განსხვავება ისევ რჩებოდა (van den Boom, 1995), რამაც ცხადყო, რომ მიჯაჭვულობა და ხასიათი არ არის იდენტური და მგრძობიარე მზრუნველობამ შეიძლება ხასიათი შეცვალოს.

ხასიათი, რასაკვირველია, გავლენას ახდენს იმაზე, რასაც ბავშვი ითხოვს და როგორ რეაგირებას ახდენს მომვლელი, მაგრამ რამდენიმე კვლევის მიხედვით, რთული ხასიათის ბავშვი უფრო მეტად ხდება საიმედოდ მიჯაჭვული, როცა მათ დედას ძლიერი სოციალური საყრდენი აქვს (Crockenberg, 1981; Jacobson & Frye, 1991).

დასასრულ, აშკარაა, რომ ხასიათი და მიჯაჭვულობაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რთულ ქცევაში.

ბავშვთან ურთიერთობის დამყარება

მზრუნველ უფროსთან ურთიერთობას ბავშვის სიცოცხლისუნარიანობის ჩამოყალიბებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია (Werner, 2000). ამ განსაკუთრებულ ადამიანს შეუძლია ბავშვი უზრუნველყოს ყველაფერი იმით, რაც მიჯაჭვულობას მოსდევს: შესაძლებლობა, ისწავლოს, რომ შეიძლება სხვა ადამიანებს ენდოს, მიიჩნიოს საკუთარი თავი ღირებულ ადამიანად, რომელიც სიყვარულისა და პატივისცემის ღირსია, და შინაგანი სამუშაო მოდელეები შეუსაბამოს სამყაროზე ახალ, უფრო პოზიტიურ შეხედულებას (Howes & Ritchie, 1999).

ბავშვების უმეტესობა მიჯაჭვულობას აყალიბებს ერთზე მეტ ადამიანთან (Ainsworth et al., 1978; Bowlby, 1969/1982), რადგან თითოეული მიჯაჭვულობა განსაკუთრებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ რეაგირებს უფროსი ბავშვის მოთხოვნილებებზე (van Ijzendoorn & De Wolff, 1997), თქვენთან ურთიერთობა შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, რომელიც ქმნის საიმედო საყრდენს, უსაფრთხო თავშესაფარს, როცა ბავშვი განაწყენებულია, საფრთხე ემუქრება ან შეშინებულია და ეს ურთიერთობა მას ემოციების რეგულირებაში ეხმარება (Pianta, 1999).

ბავშვებისათვის მასწავლებელთან ახლო ურთიერთობას „ძლიერი და მტკიცე“ სარგებელი მოაქვს. ამ დროს მათ ბაღი უფრო მოსწონთ, უფრო მეტ აქტივობაში მონაწილეობენ და მეტს სწავლობენ. ისინი კარგად ეწყობიან ჯგუფელებს, ერთვებიან უფრო რთულ თამაშებში, აქვთ უკეთესი სოციალური უნარ-ჩვევები, უკეთესად აკონტროლებენ თავიანთ ემოციებს. რაც ყველაზე მთავარია, მათი ქცევა ნაკლებად რთული და აგრესიულია. ყველაფერი ეს მათ რისკებისაგან იცავს.

მეორე მხრივ, მასწავლებელთან მტრული ურთიერთობა ზრდის რისკებს. ასეთი ურთიერთობა ბაღს არასასიამოვნო ადგილად აქცევს. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ბავშვს ჰქონდეს ყურადღების კონცენტრაციისა და სწავლის პრობლემები ადგილად შეეგუოს იმედგაცრუებას. ბავშვებს, რომლებსაც ცუდი ურთიერთობა აქვთ საბავშვო ბაღის მასწავლებელთან, შემდეგ წლებში ქცევითი პრობლემები უყალიბდებათ, ისინი იქცევიან უფრო აგრესიულად იმ თანატოლებთან, რომლებიც ხშირად უარყოფდნენ ან უსამართლოდ ექცეოდნენ მათ. როცა კონფლიქტი მასწავლებლებთან ხანგრძლივია, მათი ცუდი ქცევა ძლიერდება, მათ შეიძლება დაერღვეთ ფიქრისა და სოციალური ინფორმაციის გადამუშავების უნარი. იმ

ბავშვებსაც კი, რომლებიც რისკის ქვეშ არ არიან, ქცევითი პრობლემები უჩნდებათ, როცა კონფლიქტური ურთიერთობა აქვთ მასწავლებელთან .

ბავშვი გარშემო სიძულვილსა და მტრობას რომ გრძნობს, სავარაუდოდ, უფრო ცუდად, აგრესიულად მოიქცევა.

მაგრამ მზრუნველ მასწავლებელს შეუძლია, ვითარება შეცვალოს. გამბედავი, იოლი ხასიათის ბავშვების კვლევამ, რომლებსაც ხშირად არ შეუძლიათ იმპულსების გაკონტროლება, არ გააჩნიათ თვითრეგულირების უნარ-ჩვევები და შესაძლოა, აგრესიულად მოქმედებდნენ სოციალურ სიტუაციებში, გვიჩვენა, რომ მზრუნველი მასწავლებლის ყოლა ამცირებს მათ უარყოფით და უყურადღებო ქცევას, თავისივე გაბედული თანატოლებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ნაკლებად ყურადღებიანი მასწავლებელი ჰყავთ (Rimm-Kaufman et al., 2002). როცა მასწავლებელი და ბავშვი ახლო ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან, მასწავლებელს შეუძლია, შეაჩეროს ბავშვის უხეში ურთიერთობის ციკლი (Hamre&Pianta, 2005), დაეხმაროს ბავშვს, რომელსაც არაორგანიზებული მიჯაჭვულობა ახასიათებს, თანატოლებმა მიიღონ (Zionts, 2005) და შეამციროს ბავშვის სპეციალური განათლების საჭიროების ალბათობა.

მასწავლებლის მოდელი

როცა ბავშვებს საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს თავიანთ პირველ მასწავლებლებთან ან ბავშვებზე ზრუნვის ცენტრის მომვლელთან, მომავალში სხვა ადამიანებთანაც საიმედო მიჯაჭვულობა განუვითარდებათ. ერთ-ერთ კვლევაში ბავშვების პირველ მასწავლებელთან ურთიერთობამ ცხადყო, თუ როგორ ურთიერთობას დაამყარებენ ისინი მასწავლებელთან, როცა 9 წლის გახდებიან (Howes, Hamilton&Phillipsen, 1998). ბავშვები მასწავლებლების შინაგან პრაქტიკულ მოდელსაც ავითარებენ.

როგორ შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ დადებითი ურთიერთობა პრობლემური ქცევის ბავშვებთან?

ურთიერთობა, ფაქტობრივად, შედგება ათასობით ურთიერთქმედებისაგან . თუ მასწავლებელი გულისხმიერად, სწრაფად და თანამიმდევრულად მოქმედებს, დროთა განმავლობაში მასთან ურთიერთობა გადაიქცევა საიმედო მიჯაჭვულობად.

მაგრამ ასეთი ურთიერთობის დამყარება პრობლემური ქცევის მქონე ბავშვებთან არ არის ადვილი. ეს დამოკიდებულია „მასწავლებლის მიერ ბავშვებზე გულდასმით დაკვირვებასა და მოსმენაზე, ასევე, დაფიქრების პრაქტიკაზე, რომლის დროსაც ის აანალიზებს მცდარ ნაბიჯებს და ცდილობს მათ გამოსწორებას... იმისათვის, რომ არ

შეურიგდნენ ცუდ ქმედებებს, მასწავლებლები უნდა დაფიქრდნენ, რატომ ვლინდება ასეთი ქცევის ნიმუშები და გულდასმით იმუშაონ მათ შეცვლაზე“ (გვ.73, 75).

გულისხმიერი და ყურადღებიანი მზრუნველობა

სადაც კი შეხება გვაქვს პრობლემური ქცევის მქონე ბავშვთან, ვცდილობთ დისტანციის შენარჩუნებას, საჭიროების ფარგლებში მოზომილად ვიქცევით, ვეუბნებით „არას“ და ვლიზიანდებით. მაგრამ თუ ვაპირებთ დახმარებას, რომ შესაფერისი ქცევა ვასწავლოთ, მასთან ურთიერთობა უნდა დავამყაროთ.

ბოულისა და ეინვორსისაგან დაწყებული კვლევითი ლიტერატურა ისევ და ისევ უბრუნდება ურთიერთობის ორ ძირითად თვისებას: გულისხმიერებასა და ყურადღებიანობას. როგორც ეინვორსი (Ainworth et al., 1978) აცხადებს, ის მოიცავს:

- ბავშვის სიგნალების ცოდნას
- მათ გაგებას
- მათზე სწრაფად და შესაბამისად რეაგირებას

იმ ბავშვთან საიმედო ურთიერთობის დამყარება, ვისაც არასაიმედო და არაორგანიზებული მიჯაჭვულობა ახასიათებს, ხანგრძლივი და რთული პროცესია და ძალიან გულისხმიერ და ყურადღებიან ზრუნვას მოითხოვს (Howes, 1999). როგორც სროუფი ამბობს, თუ ბავშვი არ ენდობა უფროსებს, მასწავლებელი „მოთმინებით, მუდამ და ყოველთვის“ ბავშვის გვერდში უნდა იდგეს (გვ.77). თუ ბავშვი ელოდება უარყოფას და მასწავლებელი მას დასჯის მიზნით, მაგალითად, ტაიმაუტს მისცემს, მისი მოლოდინი გამართლდება (Karen, 1998). თუ მასწავლებელი თანაგრძნობით უპასუხებს, ბავშვმა შეიძლება დაიჯეროს, რომ ადამიანები რეალურად რეაგირებენ მის საჭიროებებზე (Weinfield et al., 1999).

ფიზიკურად და ემოციურად ბავშვის გვერდით დგომა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ბავშვის მიერ ჯგუფში მიღებული გამოცდილება მართოს (Howes & Ritchie, 2002). თავისი ძალისხმევითა და ბავშვის შეკითხვებზე, შენიშვნებსა და პრობლემებზე პოზიტიური რეაგირებით მასწავლებელი ეხმარება მას, ისწავლოს თავისი ემოციების რეგულირება და ქცევის მართვა.

ეინვორსმა ასევე აღნიშნა, რომ გულისხმიერი და ყურადღებიანი მზრუნველი თბილი, ნაზი, მოსიყვარულე, თანამშრომლობის უნარის მქონეა. ის არ აწყვეტინებს ბავშვს საქმიანობას, ასწავლის მას ძალდაუტანებლად და ზედმეტი კონტროლის გარეშე, თავის ქმედებებს ბავშვის მინიშნებების მიხედვით წარმართავს. სხვა მკვლევარების აზრით, ბავშვები საიმედოდ არიან მიჯაჭვული იმ მასწავლებლებთან,

რომლებიც სწრაფად რეაგირებენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩართულობას, რომლებსაც ხელში აჰყავთ ბავშვები და დასამშვიდებლად გულში იკრავენ. ეთამაშებიან, დიდხანს ესაუბრებიან, კითხვებს უსვამენ, უსმენენ ყურადღებით და საჭირო დროს ასწავლიან. მეორე მხრივ, ის ბავშვები, რომლებიც არასაიმედოდ არიან დაკავშირებული მასწავლებლებთან, განკერძოებულები, აბეზრები, უხეშები, კრიტიკულები, მძიმე ხასიათის ან საშიშები არიან (Howes & Hamilton, 2002).

აშკარა სიგნალების დალოდების ნაცვლად, მგრძობიარე და მზრუნველი მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ ოდნავ შესამჩნევ ნიშნებს, რაც ვლინდება ბავშვის სხეულის ენაში, ინტონაციაში, სიტყვებში, ასევე, მხრების აჩეჩაში, კბილების ღრჭიალში, სხვა ბავშვებზე თავდასხმაში (Honing, 2002). ეს ნიშნები ადასტურებს, რომ თავდაჯერებულობის ნაცვლად, აღელვებული და შემფოთებულია და დროა, აჩვენოთ, რომ მასზე ზრუნავთ.

მინიშნები

პრობლემური ქცევის აღმოფხვრა შესაძლებელია, თუ მას ადრეულ სტადიაზე შევნიშნავთ, მაგალითად ასეთი ნიშანია აღელვება. ეს ნიშნები განსხვავებულად ვლინდება სხვადასხვა ბავშვთან. შესაძლოა, ზუსტად არ იცით, რას ფიქრობს ან გრძნობს ბავში, მაგრამ შეგიძლიათ, მიხვდეთ, თუ კარგად გაიცნობთ ან კარგად დააკვირდებით (Butchard & Spencler, 2000).

- ფიზიოლოგია: ცრემლები, ხშირი გაღიზიანება, კბილის კბილზე დაჭერა, გაწითლება, გაფერმკრთალება, სუნთქვის გახშირება, ოფლიანობა, მოუსვენრობა, პირღებინება, წრიპინა ხმა.
- ქცევა: თვალის არიდება, განზე გადგომა, თმის დახვევა, ცერის, თითების, თმის ან ტანსაცმლის წოვა, მიტმასვლა, ფრჩხილების კვნეტა, წუწუნი, ახმაურება ან გაჩუმება, ყვირილი, მასტურბაცია, სულელური ღიმილი, ხითხითი, ტირილი.
- ფიქრები: არავის ვუყვარვარ; არავის ვუნდივარ; მე არა ვარ კარგი; მე აქ არ მომწონს; მე არა მყავს მეგობრები, არავინ დამეხმარება; მე ვერ გავაკეთებ ამას; დედა მინდა.
- ემოციები: შეწუხებული, დადარდიანებული, აფორიაქებული, შეშინებული, ნერვიული, აღელვებული, მომლოდინე, ნაღვლიანი, გაღიზიანებული, უგუნებოდ მყოფი, დაუცველი, იმედგაცრუებული, დაბნეული, პანიკური.

საუბარი მასწავლებელთან

რთული ცხოვრების მქონე ბავშვებზე დაკვირვების შედეგად ჰოუსმა და რიჩმა (2002) ბავშვების დასახმარებლად კიდევ ერთი ეფექტური ხერხი განსაზღვრეს: ენდონ მასწავლებლებს და დაიჯერონ, რომ სიყვარულის ღირსი არიან- ეს არის *საუბარი მასწავლებელთან*. მასწავლებლები განსაზღვრულ ფრაზებს იყენებენ ბავშვებისათვის იმის ასახსნელად, თუ რას გააკეთებენ. მასწავლებელი ამბობს, „მინდა, დაგეხმარო“, „მინდა, შეგაჩერო“ ან „უარი უნდა გითხრა“, რათა ბავშვს შეახსენოს, სცადოს საკუთარი საქციელის გაკონტროლება და აუხსნას, რომ ის ბავშვს ასწავლის საკუთარი თავის დახმარებას და რთულ სიტუაციაში დაიცავს: „მე დაგეხმარები, რადგან მოქმედების დროა“. როცა ბავშვები პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს იძენენ და ნაკლებად სჭირდებათ მიმართულების მიცემა, მასწავლებლები ეკითხებიან, სჭირდებათ თუ არა დახმარება: „გინდა დაგეხმარო, თუ ამას თავად გააკეთებ?“ (Hoews & Ritchie, 2002).

ისაუბრეთ გულწრფელად ემოციების შესახებ

ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად ძალიან მნიშვნელოვანია ემოციების შესახებ გულწრფელი საუბრები. ბავშვებს, რომელთაც რთული ურთიერთობები აქვთ და ძალადობრივ გარემოში ან არაჰუმანურ და პრობლემურ ოჯახებში ცხოვრობენ, ხშირად ემინიათ უარყოფითი ემოციების ჩვენების ან გამოვლენის და შედეგად, თავიანთ სიბრაზეს, ალელვებას, სევდას, იმედგაცრუებასა და შიშს გულში იხვევენ. მაგრამ ემოცია არ ნელდება და შეიძლება მოულოდნელად სტრესულ სიტუაციებში ამოხეთქოს. როცა მასწავლებლები ამჩნევენ ამ ემოციებს და ბავშვებს აძლევენ საშუალებას, სახელი დაარქვან და ისაუბრონ მათ შესახებ („მე ვიცი, ამან გაგაბრაზა“ „ეს შეიძლება საშიში იყოს“), ამით შეახსენებენ, რომ მოუსმენენ, დაეხმარებიან მათ სწავლასა და ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. როცა მასწავლებელი ბავშვებს ემოციების მართვისა და თვითკონტროლის მაგალითს უჩვენებს, ბავშვებიც შეძლებენ სიმშვიდის შენარჩუნებას, ემოციების მართვასა და გამოხატვას (Hoews&Ritchie, 2002; Pianta, 1999).

პოზიტიური შეხედულებები

პრობლემური ქცევის ბავშვთან პოზიტიური ემოციების გამოვლენა ურთიერთობის კიდევ ერთი საშუალებაა. ეს შესაძლოა ადვილიც არ იყოს, თუ ბავშვთან ხშირი უთანხმოება გაქვთ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობაში პრიორიტეტების დასახვას. თუ შენიშნავთ მის პოზიტიურ ემოციებსა და ქცევას და მის მოთხოვნაზე თქვენც პოზიტიურ რეაგირებას მოახდენთ, მისთვის უფრო ადვილი გახდება კარგად მოქცევა (Elicker & Fortner-Wood, 1995).

ბავშვთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების საუკეთესო გზა, როგორც ჩანს, მასთან ერთი-ერთზე დროის გატარებაა. როცა გულისყურით აკვირდებით მასთან კავშირის დამყარების მომენტს, ეს მომენტები ყოველდღიურ რუტინაში ჩნდება – როცა ის გეხმარებათ საუზმის მომზადებაში, ზელს სათამაშო ცომს და ა.შ.

თუ თქვენი ძალისხმევის მიუხედავად თქვენსა და ბავშვს შორის ატმოსფერო ყოველთვის უარყოფითია, ექსპერტები სპეციალური ურთიერთობის რეკომენდაციას იძლევიან

- კვირაში ერთხელ მაინც მასწავლებელი გამოყოფს 5-დან 15 წუთამდე დროს ბავშვთან პირისპირ გასატარებლად. ამას რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ იძულებითი ან დამსჯელი აქციის სახე არ მიიღოს. ჯგუფურ აქტივობებში ჩასართველად, კარგი აზრია მეორე მასწავლებლის ჩართვა.
- ბავშვი გადაწყვეტს, მასწავლებელმა და ბავშვმა რა უნდა გააკეთონ ერთად, მასწავლებლის მიერ შერჩეული მასალიდან არჩევენ რაიმეს. თამაშს ბავშვი წარმართავს და მიმართულებასაც ის აძლევს.
- მასწავლებელი არ ასწავლის, არ მართავს, ძალას არ ატანს ან კონცენტრაციას არ აკეთებს ბავშვის ქმედებაზე და ნეიტრალურ და ობიექტურ პოზიციას იჭერს. მის ხმაში დაინტერესება იგრძნობა, ის თითქოს სპორტული კომენტატორია, რომელიც აღწერს, რას აკეთებს ბავშვი და სახელს არქმევს მის ემოციებს.
- მასწავლებელი ირჩევს არა უმეტეს სამ მარტივ შეტყობინებას (როგორცაა: „შენ მნიშვნელოვანი ხარ“, „ვეცდები, შენთვის ყოველთვის მოვიცალო“ ან „დაგეხმარები, როცა გჭირდება ან მთხოვ“), მოზრდილების შესახებ ბავშვის უარყოფითი რწმენა და მოლოდინი რომ გააქარწყლოს და დაეხმაროს მას, გამოიყენოს მასწავლებელი როგორც უსაფრთხოებისა და სიმშვიდის რესურსი ან წყარო. მასწავლებელი ამ შეტყობინებებს, დღის განმავლობაში, ჩვეულებრივ სიტუაციებში, ბავშვებთან კომუნიკაციისას იყენებს („მოხარული ვიქნები, რომ დაგეხმარო. მასწავლებლები ბავშვებს ეხმარებიან“).
- შემდეგ მასწავლებელი აკეთებს ჩანაწერებს მომხდარისა და თავისი ემოციების შესახებ, ასე რომ, მას შეუძლია დაფიქრდეს მომხდარზე.

ზრუნვა, ბავშვს, საშუალებას აძლევს, მოიქცეს სხვაგვარად და მასწავლებელს თავის სხვა თვისებებს დაანახვებს. ის თქვენი უფრო დაინტერესდება, უფრო მეტად იზრუნებს, რომ თქვენი ყურადღება და მოწონება დაიმსახუროს და იწყებს იმის დაჯერებას, რომ უფროსი შეიძლება უფრო ხელმისაწვდომი, დამხმარე და სანდო იყოს.

როცა ბავშვს კარგად იცნობთ, ურთიერთობაში მყარი პოზიცია გიჭირავთ. იცით, თქვენი ურთიერთობა როგორ გახადოთ უფრო გულისხმიერი და ქმედითი, როგორ ჩართოთ მისი ინტერესები თქვენს საქმიანობაში, როგორ შემატოთ ძალა და ასწავლოთ საჭირო უნარ-ჩვევები. თუ დააკვირდებით, მიხვდებით, რომ როცა ვილი მარტო ზის, იატაკს უყურებს და თმას აწვალავს, რაღაც კარგად ვერ არის. თუ მხრებზე ხელს დაადებთ ან გაუღიმებთ, ის გასწორდება და განაგრძობს თავის საქმიანობას ან ლაპარაკს გვერდით მჯდომ თანატოლთან, თქვენ კი დაინახავთ, რომ თქვენმა თუნდაც ფრთხილმა ჩარევამ გაამართლა.

გახსოვდეთ _ ამ თამაშში თქვენ უზარმაზარ როლს ასრულებთ, თქვენ ხართ უფროსი, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია და ვისაც გავლენისა და ცვლილების მოხდენა შეუძლია. როცა თქვენს საკუთარ გრძნობებსა და ქმედებებს დააკვირდებით და გაანალიზებთ, როგორ მოქმედებენ ისინი თქვენს ურთიერთობაზე, ბავშვი ამით სარგებელს ნახავს და თქვენი საქმიანობითაც უფრო მეტ სიამოვნებას მიიღებთ.

შემნახველი ანაბარი

პოზიტიური სწავლების პრაქტიკის დანერგვა, გაღიმება, ყოველი დღის დადებითი განწყობით დაწყება და ყურადღებით მოსმენა, როცა ბავშვები კომუნიკაციას ცდილობენ, პოზიტიური ურთიერთქმედების საფუძველს ქმნის. მკვლევარები და მასწავლებლები ამ დამატებით მინიშნებებსაც გვაძლევენ:

- დილით თითოეულ ბავშვს მიესალმეთ, მიმართეთ სახელით და გააგებინეთ, რომ მისი მოსვლა გაგიხარდათ: „გამარჯობა, მაიკლ, მიხარია, რომ დღეს აქ გხედავ“.
- გაიგეთ ბავშვის ოჯახის შესახებ, თუ ვინ ცხოვრობს მასთან, და-მმისა და შინაური ცხოველების სახელები, ასაკი და ამით შეძლებთ მის სამყაროში შესვლას: „რას აკეთებთ შენ და ფრანჩესკა ამ შაბათ-კვირას?“ (ოჯახების შესახებ უფრო მეტის გასაგებად იხ. შემდეგი ნაწილი და თავი 6).
- სცადეთ, გაარკვიოთ, რა მოსწონს ბავშვს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი და რა აგრძნობინებს თავს კარგად. გაიზიარეთ მისი მოგონებები, გამოცდილება და გრძნობები და უპასუხეთ ისე, თითქოს მისი სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია. ყურადღებით დააკვირდით ამ კონტაქტებს. ასე რომ, თქვენ გეცოდინებათ, რა აკლიათ ან რას არიდებენ თავს ბავშვები, რომ ეს ხარვეზი შეავსოთ.
- პატივისცემა რომ დაუდასტუროთ, ხშირად მიმართეთ სახელით.
- შეუერთდით ბავშვის თამაშს და აპყევით თამაშში.

- უთხარით ბავშვს, რომ მასზე ზრუნავთ და ფიქრობთ, როცა ის აქ არ არის. დაურეკეთ შინ, თუ რამდენიმე დღე აცდენს. ოთახში შეიტანეთ ის ნივთები, რომლებიც დააინტერესებს („შეხედე, ეს წიგნი მოგეწონება“).
- გაუზიარეთ საკუთარი ინტერესები, გამოცდილება და გრძნობები. ეს მას გააგებინებს, რომ ურთიერთობა ორმხრივია და თქვენ მასწავლებელთან ერთად პიროვნებაც ხართ.
- შეაქეთ, როცა კარგად იქცევა, მას დამატებითი დრო და ყურადღება დაუთმეთ.
- გააკეთეთ კარგი და სასარგებლო საქმეები მათთვის და მას შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისრეთ. ბავშვები საკუთარ თავს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, როცა მათ დახმარება შეუძლიათ.
- ბავშვს ფაქიზად და სიყვარულით შეეხეთ – ხელი მოუთათუნეთ, ჩაეხუტეთ, რათა სითბო გაუნაწილოთ და გაამხნევოთ.
- გააკეთეთ ისეთი კომენტარები, რაც შეატყობინებს ბავშვს, რომ გესმით და იცნობთ მას.
- შექმენით თქვენთვის და ბავშვისთვის ექსკლუზიური, საიდუმლო სიგნალები, ნიშნები, ხელის ჩამორთმევა ან კოდი, რაც კომუნიკაციას სახალისოს გახდის.

ოჯახთან ურთიერთობის დამყარება

ბრონფენბრენერის (1979) ეკოლოგიური (რომელიც გვიბიძგებს, რომ ბავშვს ოჯახის, თემის ან საზოგადოების კონტექსტში დავაკვირდეთ) და ოჯახური სისტემის თეორიის (რომელიც გვახსენებს, რომ ოჯახის წევრები ერთიმეორესთან არიან დაკავშირებული) წყალობით, ჩვენ ვიცით, რომ ბავშვი და ოჯახი ერთი დიდი ორგანიზმი, ერთი მთლიანობაა. ოჯახის დახმარებით მასწავლებლები ბავშვის კეთილდღეობასა და განვითარებას უწყობენ ხელს.

არსებობს რამდენიმე ძირითადი მოსაზრება ოჯახზე კონცენტრირებული მიდგომის შესახებ (Chud&Fahlman, 1995; Gonzalez-Mena, 2010; Keyser, 2006):

- ოჯახებს ცენტრალური ადგილი უჭირავს ბავშვების ცხოვრებაში, როგორც პირველ და ძირითად მასწავლებლებსა და საკუთარი ბავშვების ექსპერტებს.

- ოჯახებს აქვთ კომპეტენცია, რესურსები, სიძნელეებთან გამკლავების საშუალებები და საკუთარი ბავშვებისათვის დასახული მიზნები.
- თითოეული ოჯახის ფასეულობები, კლასობრივი და კულტურული წარმომავლობა, ეთნიკურობა, რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი განსჯის გარეშე უნდა იქნეს მიღებული და დაფასებული.
- მომსახურება და პროგრამები ეფექტურია იმდენად, რამდენადაც ოჯახს ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებაში უწყობენ ხელს.

ბავშვთა განათლების ეროვნული ასოციაცია (2009) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადაწყვეტილების ერთად მიღების პრაქტიკას და ოჯახის პასუხისმგებლობას ბავშვის განვითარებასა და სწავლაში.

სამი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული კვლევები ამტკიცებს, რომ როცა ოჯახი ჩართულია ბავშვის განათლებაში, ბავშვს ყველა ასაკობრივ ჯგუფში უკეთესი აკადემიური და სოციალური მიღწევები აქვს, მნიშვნელობა არა აქვს ოჯახის შემოსავალსა და წარმომავლობას.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მაშინაც კი, როცა ოჯახები ბავშვის აღზრდაში ტრადიციულად არ მონაწილეობენ, მათ მაინც სასიცოცხლო წვლილი შეაქვთ მასში.

საჭიროა მშობლისთვის მკაფიო შეტყობინების გადაცემა, რომ მათი ჩარევა ნამდვილად დაეხმარება მათ შვილს და რომ თქვენ ნამდვილად აფასებთ და პატივს სცემთ მათ შეხედულებებს.

ასე რომ, ისაუბრეთ მათთან რამდენადაც შესაძლებელია ხშირად. რადგან შეხვედრა და თავაზიანი საუბარი აუცილებელია კომუნიკაციისათვის, მშობლის მოსვლისა და ბავშვის წაყვანის დროს გაესაუბრეთ მათ, მოექცით მშობლებს როგორც პიროვნებებს, დამოუკიდებელ ადამიანებს და არა როგორც, ვთქვათ, კონკრეტული ბავშვის დედას ან მამას. ოჯახებს ხშირად სურთ, რომ მათი პირადი ცხოვრება კონფიდენციალურად დარჩეს (Powell, 1989), მაგრამ პარადოქსია, რომ უნდათ, მასწავლებლები მათი პიროვნებით დაინტერესდნენ (Powell, 1998). ძნელია კონტაქტის დამყარება, როცა ყველა ერთად მოდის ან როცა გაჭირვებულ ბავშვს ამშვიდებთ, ამიტომ, ჩაიწერეთ ბავშვთან თქვენი ყოველდღიური ურთიერთობის ამბები. თუ ვერ მოახერხებთ მთელი კვირის განმავლობაში ოჯახთან კავშირი, დაგეგმეთ, დაურეკეთ ან ესაუბრეთ მათ მომდევნო კვირის დასაწყისში.

მათთან საკომუნიკაციოდ შეგიძლიათ ვებ-გვერდიც შექმნათ.

